



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №26

2017 წელი 28 აპრილი

### „საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის №02 განკარგულებაში დამატების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

- 1 „საპრივატიზებო ობიექტის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 იანვრის №02 განკარგულებით დამტკიცებულ დანართში შევიდეს დამატება და დანართს 2 რიგითი ნომრის შემდეგ დაემატოს საპრივატიზებო ობიექტის ნუსხა რიგითი ნომერი 3 (იხ. დანართ №1)
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) კანონმდებლობით დადგენილი წესის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერ ბერიძე